

სახელი: ნინი
გვარი: კაჭარავა
ასაკი: 17 წელი
სკოლა- სსიპ ქალაქ ფოთის N4 საჯარო სკოლა
კლასი - XI

“დამოუკიდებლობიდან თავისუფლების გზაზე” წერილი ევროპელ თანატოლს

ძვირფასო მეგობარო,
იმედი მაქვს, კარგად ხარ. დიდხანს ვფიქრობდი, რათემაზე მომეწერა შენთვის, და ბოლოს მაინც ერთ ძალიანმნიშვნელოვან საკითხზე შევაჩერე არჩევანი - თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე.

ჩვენ ასე შორიდან ვსწავლობთ ერთმანეთის კულტურებს, ვადარებთ ჩვენს სკოლებს, ტრადიციებს დაყოველდღიურობას, მაგრამ იშვიათად ვსაუბრობთ იმდირებულებებზე, რაც ორივესთვის მნიშვნელოვანია. ალბათამაზე ისე ღრმად არც დავფიქრდებოდი, ზეზიას რ

ომ არმოეყოლა, როგორ ცხოვრობდა თავის ახალგაზრდობაში - როგორ იყო ყველაფერი მკაცრად გაკონტროლებული დაროგორ ცდილობდნენ ადამიანები, საკუთარი თავისგანგანს ხვავებული ინდივიდები შეექმნათ, რომ სისტემას ადვილად “მორგებოდნენ.”

ბეზიას მონაყოლმა თითქოს უცხად თვალეზი ამიხილა. გავიფიქრე - მე ხომ სხვა საქართველოში დავიბადე. თითქოს ყველაფერი უკეთესია, მაგრამ ვარ კი ბოლომდე თავისუფალი? ჩემს ქვეყანას აქვს თუ არა ნამდვილი დამოუკიდებლობა?

ამიტომაც გადავწყვიტე, შენთვისაც გამეზიარებინა ჩემი ფიქრები. იქნებ შენც მითხრა როგორია თავისუფლება შენს ქვეყანაში?

საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ რთული დაგრძელი იყო. ჩვენ 1918 წელს ერთხელ უკვე გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ ის 1921 წელს საბჭოთა ოკუპაცია მდაგვიკარგა.

1991 წელს კი, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენ კვლავ ავიღეთ კურსი დამოუკიდებელი სახელმწიფოსკენ.

მშობლები მიყვებიან, როგორი შიში სუფევდა მაშინ, როგორი გაურკვევლობა იყო 90-იან წლებში - ომები, გაჭირვება, უთანხმოება. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ეს იყო დრო, როცა ქვეყანამ დაიწყო საკუთარი თავის ხელახლა პოვნა.

დღეს მე დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობ. ვიცი, რომ ჩემი აზრის თქმის არ მემშინია, რომ მაქვს არჩევანისუფლება, რომ შემიძლია ვიბრძოლო იმ ღირებულებებისთვის, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია. მაგრამ სხვა მხრივ - ეს თავისუფლება ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი.

ხშირად ვხედავ, როგორ ვერ გამოხატავენ ადამიანები თავისუფლად განსხვავებულ აზრს. პოლიტიკა ხშირად პოლარიზებულია, ზოგჯერ მედია ტენდენციურია, სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა დაბალია. სოციალური უთანასწორობაც შესამჩნევია. ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ “თავისუფლება” მხოლოდ ერთიმიმართულებით ფიქრს ნიშნავს - და როცა განსხვავებული ხარ, გაკრიტიკებენ.

სოციალურ ცხოვრებაში ჩვენ ჯერ კიდევ ვებრძვით სტერეოტიპებს. ბევრი ახალგაზრდა თავს დამცირებულად ან მიუღებლად გრძნობს მხოლოდ იმის გამო, რომ “სხვანაირია”.

მიუხედავად ამისა, მე ოპტიმისტი ვარ. ვხედავ, როგორ იცვლება ჩემი თაობა, ვხედავ ჩემი თაობის სხვანაირსულისკვეთებას. ჩვენ უფრო მეტად ვსვამთ კითხვებს, მეტად ვისმენთ ერთმანეთის განსხვავებულ აზრს, ვსწავლობთ კომუნიკაციის უნარს.

ჩვენი ევროპისკენ სვლა მხოლოდ პოლიტიკის არჩევანი არარის - ესაა ფასეულობების გზის არჩევა: ჰუმანურობა, თანასწორობა, სიტყვის თავისუფლება, სოლიდარობა, სამართლიანობა - ეს არის ის, რაც გვინდა, რომ საქართველოშიც რეალურად დამკვიდრდეს. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა დრო და ბრძოლა - არა იარაღით, არამედ განათლებით, დისკუსიებით და ცვლილებების მოთხოვნით.

მიხარია, რომ ამ წერილს გწერ. შეიძლება არასდროს გვინახავს ერთმანეთი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ბევრისაერთო გვაქვს - ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობა, თავისუფლებისკენ სწრაფვა და უკეთესი მომავლის რწმენა. მინდა გკითხო - შენ რას ფიქრობ დამოუკიდებლობაზე? შენთვის რას ნიშნავს თავისუფლება? იქნებ გაგეზიარებია ისიც, თუ როგორ ხედავ შენს ქვეყანას ამ თვალსაზრისით?

ვფიქრობ, სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემით ვიღებთ ჩვენ, ახალგაზრდები, პასუხისმგებლობას მომავალზე. დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, მაგრამ თავისუფლება - ჩვენი თაობის ამოცანაა.

მჯერა, რომ ჩვენი თაობა - შენი და ჩემი - ბევრ რამეს შეცვლის. მჯერა, რომ ჩვენ თავი სუფლებას მხოლოდ ფორმალურად კი არა, ღრმად, ყოველდღიურობაში დავამკვიდრებთ. ჩვენმა წინაპრებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს - ახლა ჩვენი დროა, მას შინაარსი მივცეთ. სიყვარულით,

ნინიკაჭარავა

Name: Nini

Surname: Kacharava

Age: 17 years

School: Public School No. 4 of Poti City
Class: XI

"From Independence to Freedom" Letter to a European Friend"

Dear friend,

I hope you're doing well. I thought for a long time about what to write to you, and in the end, I chose a topic that I think is very important—freedom and independence.

We are learning about each other's cultures from a distance. We compare our schools, traditions, and daily lives, but we rarely talk about the values that matter to both of us. Honestly, I might not have thought about this so deeply if my grandmother hadn't told me about her youth—how everything was strictly controlled and how people were forced to become identical individuals so that they would easily "fit" into the system.

Her story opened my eyes. I thought—well, I was born in a different Georgia. It seems like things are better now, but am I truly free? Is my country truly independent?

That's why I decided to share my thoughts with you. Maybe you can also tell me—what does freedom look like in your country?

Georgia's path to independence was long and difficult. In 1918, we declared independence for the first time, but we lost it in 1921 due to Soviet occupation. In 1991, when the Soviet Union collapsed, we once again began our journey toward building an independent state.

My parents tell me how fearful and uncertain life was back then—wars, poverty, disagreement. But despite everything, it was a time when the country started to rediscover itself.

Today, I live in an independent Georgia. I know that I don't have to be afraid to express my opinion, that I have freedom of choice, that I can fight for the values that matter to me. But in other ways, this freedom is still not complete.

I often see people who cannot freely express different opinions. Politics is often polarized, the media can be biased, and public trust in the court system is low. Social inequality is also noticeable. Many people still think that "freedom" means thinking in only one way—and when someone is different, they're criticized.

In social life, we are still fighting stereotypes. Many young people feel excluded or judged simply because they are "different."

Despite this, I am an optimist. I see how my generation is changing, how we have a different spirit. We ask more questions, we listen more to each other's opinions, we are learning how to communicate better.

Our path toward Europe is not just a political choice—it's a path of values: humanity, equality, freedom of speech, solidarity, justice. These are the things we want to truly establish in Georgia. But to achieve this, we need time and effort—not weapons, but education, dialogue, and the courage to demand change.

I'm glad I'm writing this letter to you. Maybe we've never seen each other, but I still feel like we have a lot in common—a youthful curiosity, a longing for freedom, and a belief in a better future.

I'd like to ask you—what do you think about independence? What does freedom mean to you? Maybe you could share how you see your country in this regard?

I believe that by answering these questions, we—young people—take responsibility for the future. Independence is our country's history, but freedom is our generation's mission.

I believe that our generation—yours and mine—will change many things. I believe that we won't only declare freedom on paper, but will live it deeply, in our everyday lives.

Our ancestors gained independence—now it's our turn to give it meaning.

With love,

Nini Kacharava

2025